სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N 622/06

ქ. თბილისი 12 ივნისი 2018 წელი

ერთის მხრივ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნუნუ ოსიანიკოვას სახით და მეორეს მხრივ, შპს „ძაილაბვორლდ" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ნიკა ჯანაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 [1] მუხლის, მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის თანახმად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის" დაფინანსებით სსიპ ივანე ჯავახიშვილის პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიული აღჭურვილობისათვის თხევადი ქრომატოგრაფიული სვეტის შესყიდვა.

2.2 შესყიდვის ობიექტის აღწერილობა

№	შესყიდვის კოდი CPV	შესყიდვის ობიექტი დასახელება და აღწერილობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღირებულება
1	38424000	თხევად ქრომატოგრაფიული სვეტი; ნაწილაკების ზომა - 5მკმ; შიდა დიამეტრი x სიგრძე; 4.6 x 250მმ; ფორების ზომა - 200 A. მოდელი - ACCLAIM C30	1	2460.00	2460.00
სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით :					2 460.00

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2 460.00 (ორიათასოთხასსამოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს .

4.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულების კონტროლი განხორციელდება პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორის ქ. ებრალიძის მიერ.

4.2. ინსპექტირება შესაძლებელია განახორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად. ინსპექტირება გულისხმობს შესაბამისობის დადგენას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან, ხელშეკრულების პირობების შესრულებას, მიწოდებისათვის აუცილებელი პირობებისა და ნორმების დაცვას.

4.3. „შემსყიდველი" ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესასყიდი საქონლის ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, მთ შორის ვადის ამოწურვის შემდეგ საგარანტიო პირობებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში.

4.4. „შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს „მიმწოდბელს" საბოლოო შემოწმების შედეგი დაწუნებული საქონლის დასახელების და წუნდების მიზეზის მითითებით.

4.5. „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული შესყიდვის ობიექტის შეცვლა.

5.შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი:

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას შემსყიდველი განახორციელებს: შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების გამოწერის, ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ წარმოდგენილი დადებითი დასკვნის საფუძველზე.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

6.1 მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებს შემდეგი მისამართზე: ი. ჭავჭავაძის გამზ. #1(იურიდ), პოლიტკოვსკაიას ქ. #31 (ფაქტ).

6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 8(რვა) კვირა.

6.3 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს შესყიდვის ობიექტის მოწოდების პირობებში ცვლილებები ურთიერთშეთანხმების გარეშე.

7.ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

7.1. წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით;

7.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ,,სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის'' დაფინანსებით, სსიპ ივანე ჯავახიშვილის პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის სახაზინო ანგარიშიდან, შესყიდვის ობიექტის მოწოდების შემდეგ, ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

7.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.5 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.6 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების

დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. გარანტია და საგარანტიო მომსახურების პირობები

12.1 შესყიდვის ობიექტის სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა განისაზღვრება შესყიდვის ობიექტის მიწოდების დამადასტურებელი მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის ვადით;

12.2 საგარანტიო პერიოდში ინსპექტირება ხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, საქონლის მიღებისას, აგრეთვე მიღების შემდეგ, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების არსებობის პერიოდში.

12.3 საგარანტიო პერიოდში ექსპლუატაციის პროცესში, მექანიკური დაზიანების გარდა, წარმოქმნილი ხარვეზების არსებობის შემთვევაში, შემსყიდველი წერილობით ან/და ელექტრონული ფორმით აცნობებს მომსახურების გაწევის საჭიროების შესახებ „მიმწოდებელს". „მიმწოდებელი" მისი წარმომადგენლის მიერ, საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) შეტყობინებიდან არაუგვიანეს მესამე სამუშაო დღისა ახდენს რეაგირებას. საჭიროების შემთხვევაში ორი სამუშაო დღის ვადაში დგება დეფექტური აქტი, რომელიც მოიცავს შესასრულებელ სამუშაოებს და მათ ხანგრძლივობას. სერვის მომსახურება განხორციელდება არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში თუ ასეთი პროდუქციისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები მიმწოდებელს აქვს ადგილზე (საწყობში), წინააღმდეგ შემთხვევაში დეფექტური აქტით განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.

12.4 იმ შემთხვევაში თუ საქონელი არ ექვემდებარება შეკეთებას, იგი უნდა შეიცვალოს ახლით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა იმ ნაკისრი ვალდებულებეის ამოწურვამდე, რომლის შესრულებისთვის დადგენილია განსხვავებული ვადები.

14. რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	**შპს „მაილაბვორლდ"**
მისამართი: ქ.თბილისი; ი.ჭავჭავაძის გამზ. №1	**მისამართი:** ქ.თბილისი; ვაჟა-ფშაველას გამზ #16
რეკვიზიტები:	**საბანკო რეკვიზიტები:**
სახაზინო სამსახური	სს „ ბაზის ბანკი"
თსუ პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის,,სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის'' დაფინანსებით	**ა/ა N** GE25BG0000000100785688
	ბანკის კოდი: BAGAGE22
საიდენტიფიკაციო კოდი:	**საიდენტიფიკაციო კოდი:**
204864548	405259198
თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	**დირექტორი:**
/ნ. ოვსიანიკოვა/	/ნ. ჯანაშვილი/

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

" 12 " ივნისი 2018 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსებით ლაბორატორიისათვის აღჭურვილობის (CPV 38423000) შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს მიმწოდებელთან შპს „მაილაბვორლდ"

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	ნ. ოვსიანიკოვა
თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე	ლ. საღინაძე
თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი	ი.საღარეიშვილი
თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი	ა. კუკულავა
თსუ შესყიდვების უფროსი	ს. სანაძე
შესყიდვების განყოფილების მთ. სპეციალისტი	ლ. კოპალეიშვილი